6 (18) იანვარს 1867. № 1. მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპეკტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

**შინაარსი:** მმართებლობის განკარგულება: ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.—პოლიტიკა! იტალია, ფრანცია, ოსმალეთი და საბერძნეთი.—ფელეტონი: ძველის წლის ნაყოფი და ახალის წლის კოკრები.—სახაზინო განცხადება.

### მმართებლობის განკარგულება.

### ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

30 დეკემბერს 1866 წელს, ტფილისი. ხელმწიფე იმპერატორმა, ჩემის შუამდგომლობით, 21 ნოემბერს და 1-ს და 6 დეკემბერს, ყოვლად უმოწყალესად უბოძა ქვემოხსენებულს პირებს, ძლიერ ერთგულის სამსახურისათვის, შემდგომი ჯილდოები:

**ორდენები: წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხისა:** სამოქალაქო უწყების საექიმო ნაწილის მმართველს კავკასიაში, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს სობოლშჩიკოვს, თავმჯდომარის თანამდებობის ალმასრულებელს ტფილისის პალატაში ვერჟბიცკის, ტფილისის საექიმო სამმართველოს ინსპექტორს იოანნისიანს და სამკავრო საქმეების დეპარტამენტში განყოფილების უფროსს კოლლეჟსკის სოვეტნიკს მელიქოვს.

**წმ. ანნის მეორე ხარასხისა საიმპერატორო კარონით:** კოლლეჟსკი სოვეტნიკებს: სახელმწიფო მამულების დეპარტამენტში განყოფილების უფროსს აბესალამოვს, კავკასიის ნამესტნიკის რჩევაში საქმეების მმართველის უმცროსს თანაშემწეს ახვერდოვს და ტფილისის გუბერნიის სამმართველოს სოვეტნიკს, ნადვორნი სოვეტნიკს აქიმოვს.

**წმ. ანნის მეორე ხარისხისა** უფროს ჩინოვნიკს განსაკუთრებითის მინდობილებისა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორთან ენიკოლოფოვს და მე XIV კლასსის ჩინოვნიკს მირზოევს.

**წმ. სტანისლავის მეორე ხარისხისა საიმპერატორო კარონით:** ნადვორნი სოვეტნიკებს: ტფილისის საექიმო სამმართველოს ოპერატორს ბასტამოვს და საზოგადო საქმეების დეპარტამენტში უფროსს სტოლნაჩალნიკს პავლიაშვილს.—**წმ. სტანისლავის მეორე ხარისხისა:** ნადვორნი სოვეტნიკებს: არხეოგრაფიის კამისიის წევრს ბერძენიშვილს, ტფილისის კლასიკურის გიმნაზიის ინსპექტორს ხანჯიევს, მე VIII კლასის ჩინოვნიკს კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამმართველოში თამამშოვს, საეკლესიო მამულების მმართველს ტფილისის უეზდში და Ოიანე-

# განცხადება

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების" გამოცემაზე 1867 წელს.

გაზეთი „დროება" 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„დროება" უწინდელსავე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების" რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ", при типографіи Меликова и К-°.**

### ძველის წლის ნაყოფი და ახალ-წლის კოკრები.

„ღმერთმა მრავალს ახალწელიწადს დაგასწროთ"!—ეს ვინ გვილოცავს?... აი, დასწყევლოს ღმერთმა!... აკი „დროება" მეორე წელში ფეხს ვერ გადადგამსო!—იტყვის მკითხველი და კეთილი გულით გაიღიმებს. „დიახ, მკითხველო, „დროება" ისევ ცოცხალია. რაც დღე გამოდის, ის უფრო და უფრო ფეხზედ მაგრათ დგას. ბევრს ჩვენს მოძმეებს არა სჯეროდათ „დროების" დღეგრძელობა. ისინი ამბობდნენ,—რაც უნდა კარგის მოდგმისა იყოს, დღენაკრულათ დაბადებული, დიდხანს მაინც ვერ იხეირებსო. გამოზაფხულის და გაზაფხულის სითბოებში კიდევ როგორც იქნება გააჯანჯალებსო თავის სიცოცხლეს, მაგრამ დადგება თუ არა შემოდგომა და როგორც რომ ზამთრის სიცივე კანჭებში მოუჭერსო, მაშინ იმისი საქმე წასულიაო. „დროება თან-და-თან იმჭლევებს, იმჭლევებს, მისუსტდება, ფერი გამოეცვლებაო და ახალ-წლის წინალამეს ფეხებს გასჭიმავსო. აგრე რომ ვთქვათ, ზამთრის ყინვა ქვასაც გახეთქავს; მაგრამ საქმე ის არის, ახალ მოზარდი იმდენზედ არ მივიყვანოთ, მართლაც სიცივემ გაყინოს. მკითხველო, შენ რომ მშვენიერი გაფუნთრუშებული ყმაწვილი გყავდეს და ასე განიზრახო: "მოდი ამ ყმაწვილს მუდამ ყინვიან წყალში ვაბანავებ და ცოტასაც ვაჭმევ, კარგი ტანადიც გამოვაო და მაგარის აგებულებისაც იქნებაო", შენი მტერი, როგორც ის ყმაწვილი ხელში შემოგაკვდეს და ან თუ გადაურჩა ამისთანა წვალებას, გამოსადეგი მაინც აღარ იქნება: ამიტომ რომ ტანი დაუსნეულდება. ჩვენში იტყვიან: "საქონელი მოვლისა არისო„.—მიუცილებლად, „დროებისთვის" რომ ყური არ გვეგდო და გამოცემის საშუალება არ მიგვეცა, მაგას რა დიდი კითხვა უნდა, რომ ისიც ფეხს გაშლიდა მეორე წელში; მაგრამ ღვთის მადლით, საზოგადოების თანაგრძნობა იმას თავიდგანვე წინ მიუძღოდა. ამისთვისაც „დროებამ" ერთი წელიწადი, როგორც ერთი წამი, ისე გაირბინა და მეორე წელიწადში გადამდგარმა თავი დაგიკრათ.

როდესაც „დროება" გამოჩნდა, ვინ იცის რამდენი ჭორები არ გამოუგონეს?.. ჯერ ... ას იძახდნენ,—ეგ სულ თილისმობა არისო. „დროების" რედაქცია მოთილისმეებით სავსეა და თვითონ „დროებაც„ თილისმის მახეაო. მაგ გვარი თილისმის მახეც ვნახეთო. ძალიან დახელოვნებული ხალხი უნდა იყოსო ეს მოთილისმე გვამები. როცა ამ კაცებს ქამთავითარება გარიყავს და ჯიბეში თაგვები ხრიგინს დაუწყებენო, მაშინ ამ გვარ მახეს, მოიგონებენო. ეს მახე ისეთი მანქანებაა, ძვირად იქნება, რომ იმაში ძვირფასი საუნჯე არ გაებასო, რომელიც მთელს სიცოცხლეში კაცს საჭმელს პურს არ გამოულევსო. ისინი ამ გვარ მახეთი თავის საქმეს იკეთებენო, ჩვენ კი მაგ თილისმობით თილისმობის და მოტყუების მეტი არა გვხდება რაო. მაგ თილისმობასაც დრო წაუვიდაო. ამნაირი სჯა „დროების" გამომცემლებისთვის ძალიან გულსატკენი იყო; მაგრამ ამისთანა მრუდე აზრის გასწორებას მოთმინების მეტი არა გაეწყობოდარა. დრო ყოვლის—ფერს გაასწორებს და ჩვენც საზოგადოების წინ გაგვამართლებსო, ფიქრობდნენ ისინი. ამით რომ საქმე გათავებულიყო კიდევ არაფერი, მაგრამ ამას გარდა „დროებას" ბევრი სხვა მიზეზებიც მოუდეს. „დროებას" ზრახავდნენ, რომ ახალი ასოებით რათ იბეჭდებაო. ჩვენებურს სტამბაში რომ ასო მთავრული არა ყოფილა, „დროებამ" საიდამ შამოგვაჩეჩაო. საზოგადოება სწყრებოდა ასომთავრულის შამოღებაზე.—ეს რა ასოებია ი ნ ი ი ნ ს არა ჰგავსო და ე ნ ი ე ნ ს. ამ გვარათ წერა, თქვენი ჭირიმეთ, ვის გაუგონია:—ე ნ ს ა და ვ ი ნ ს რომ მაღლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი აწეულია, ზოგი დაწეულია, თითქო ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო. ამისთანა სჯაში ბევრ ჯერ იყვნენ ხოლმე გართულნი ჩვენი მოხუცებულები. მაგრამ „დროება" ამისთანაებს ყურს არ უგდებდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩხირება, არ მოსწონს იმისთვის, რომ თვალი შეუჩვეველი აქვს; იმისი წინააღმდეგია, რადგანაც ჯერეთ იმისგან სარგებლობას ვერ ჰხედავს. ამასთანავე „დროება" კარგათ ხედავს ასომთავრულის სარგებლობას. იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარს სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე ასე, რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავათ რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები. ამასგარდა ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ ანუ ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასომთავრულით იწყება ხოლმე. ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბაც მრავალ გვარდება და მშვენიერდება. „დროება" კარგათ გრძნობდა, რომ, როდესაც მკითხველებს ასომთავრულზედ თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსებათ ჩათვლიან იმ ნაკლულევანებას, რომელსაც პირველათ ხედავდნენ. ამაზრის იყო „დროება" და, ეგონებ, არც მოტყუებულა.

ახლა ენაზე გადვიდეთ. „დროებამ" დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მაშინვე ჯავრობა დაუწყეს. ეს სადაური ქართულია, რომ ნახევარი სიტყვები მთლათ არ გვესმისო. როცა „დროება" ლაპარაკს დაიწყებს თითქო ყურებში ჩხირს გვიჩხუკურებდნენ, ისე გვეჩოთირებაო იმისი გაგონება. ვიცით რომ ქართული სიტყვები სწერია, მაგრამ სიტყვა სიტყვაზედ ისე ეშმაკურად გადაბმულიაო, რომ დაბურდულს აბრეშუმის შულოში, როგორც ძაფს თავს ვერ მოუნახავ, ისე იმის ქართულ სიტყვებში აზრს ვერ გამოიკვლევო. დიახ, მაგაში ჩვენც თანახმა ვართ. „დროება" ნამდვილი ქართული ენით ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ანკი სად უნდა ესწავლა ქართული ლაპარაკი. ცოტათ მოზდილან თუ არა „დროების„ თანამშრომელნი, მაშინვე იმისთანა სასწავლებელში მიუციათ, სადაც ქართულ ენაზედ ერთი აზრიც არ მოსმენიათ. ისინი გაზდილან უცხო ენაზე და ნამდვილს ქართულ სიტყვიერებას თან-და-თან გადაჩვევიან. იმათი გონება და აზრი თან-და-თან უცხო ენის კილოზედ დაწყობილა და ამისგამო ბუნებითი ენის კილოც დაჰკარგვიათ. ამაში ვინ არის დამნაშავე? მიუცილებლათ თვითონ საზოგადოებაა. ის თუ კი არ იზრუნებს თავის ენაზედ შვილის განათლებას, შვილს სად ექნება იმდენ ღონე და მიხვედრა, რომ თვითონ იფიქროს თავის სამშობლო, ენაზედ. ამისგამო „დროების" თანამშრომელებს ბევრი ჯაფა დასჭირდებოდათ, რომ შრომით ისევ თავისი ბუნებითი ენა დაებრუნებინათ. ჯაფა და შრომა დროსაც მოითხოვს. მაშ „დროების" ენა თუ პირველად არ იყო ნამდვილი და შესაფერი, იმედი გვქონდა, დროს-და-დროს განმავლობაში მაინც იკეთებდა. ამას გარდა „დროებას" უნდა გამოეთქვა სხვა-და-სხვა მეცნიერებიდამ გამოკრეფილი აზრები. ჩვენს ენაზედ, რადგანაც ეს მეცნიერებანი შემუშავებულნი არა ყოფილან, ამისთვის ბევრი ახალი აზრი თავის შესაფერს სიტყვასაც მოითხოვდა. ახალის აზრის გამოსათქმელად უეჭველად ახალა სიტყვებიც უნდა შამოგველო. იმათი მნიშვნელობა პირველად ძნელი გასაგებია, მაგრამ ხშირად ხმარებაში ისინი შევლენ ჩვენს ენაში და ბოლოს ჩვენის ენის საკუთრებათაც გახდებიან. ეს ყველა ხალხის ცხოვრებაში ასე ყოფილა. მაგალითს ვიტყვით: როდესაც კაცი ჯერ კიდევ აკვნის ყმაწვილია, თავის გრძნობას მარტო ყვირილით აცხადებს ხოლმე. წლის ანუ წლინახევრის რომ შეიქნება, რამოდენისამე ნივთის სახელს ისწავლის. ის გრძნობს თვალით, ყურით ენით და შეხებით. პატარა ყმაწვილი რასაც დაინახავს, იმისი ხელის მოკიდებაც უნდა და პირში იდებს. ერთის და იმავე ნივთის გაცნობისათვის ხმარობს რამოდენსამე საგრძნობელს: რომ დაინახოს, შეეხოს და გემო გაიცნოს. მინამ კარგა დიდი შეიქნებოდეს, შინაურობაში იმისთანა ნივთი არ იქნება, რომელიც ყმაწვილს არ ენახოს და იმან იმისი სახელი არ იცოდეს. ამნაირათ ჭკუის ზრდასთან ენაც ეზრდება. როდესაც ყმაწვილი კარგა დიდი შეიქნება და შინ ველარ დამაგრდება, გამოვა გარეთ, გაიცნობს თავის სამშობლო ქვეყნის ბუნებას, ის ხედავს მთას, ბარს, მდინარეს, ღელეს, ხეს, ტყეს, მინდორს, ერთის სიტყვით ყოვლის ფერს, რაც იმას გარშემო აკრავს. ამ გვარად ბუნების გაცნობა რასაკვირველია ამდიდრებს ყმაწვილის ჭკუას და იმის შესაფერად ენაც გაუმდიდრდება. იმის მხარეში, იმისთანა საგანი ძვირად იქნება, რომ სახელი არ დაარქვას და რამე ყველასგან გამოკვლეული თვისება ამ საგნისა არ შეიტყოს. ამ მაგალითიდამ ცხადად სჩანს, რომ თან-და-თან ჭკუის გახსნას, ენის გახსნა და გამდიდრება მოსდევს. ერთის სიტყვით ჭკუა არის იმისთანა ნიჭი, რომელიც ენაში გამომეტყველებს. როდესაც ყმაწვილი აკვანში იწვა, იმისი ჭკუა ჯერ სრულებით შეუგწებელი იყო, იმისდა გვარად ენასაც მობრუნება და სიტყვის გამოთქმა არ შეეძლო. ენა რას გამოთქვამდა, რომ ჭკუაში და გონებაში არა ჰქონდა რა? როცა არ იყო ჭკუა გახსნილი, არც ენას ჰქონდა თავისი სიტყვიერება. როცა ჭკუა თან-და-თან იწყებს გონებაში ჩახვდომას, მაშინ ენაც თან-და-თან იწყებს ლაპარაკს და ახალის სიტყვის შეძენას.

თის მაზრაში არჯევანიძეს და შთამომავლობითის საპატიო მოქალაქეს კომერციის სოვეტნიკს ონანოვს.

წმ. ანნის მესამე ხარისხისა ნადვორნი სოვეტნიკებს: VII მე კლასის ჩინოვნიკს ნამესტნიკის უმთავრესს სამმართველოში ლორის—მელიქოვს, საკონტროლო დეპარტამენტის კონტროლერს ნახაპეტოვს, პირველის მეჟევის კამისიის სამჯავროს წევრს ამირალოვს, ხაზინადარს და ბუხლალტერს ზაკავკასიის მეჟევის პალატაში მელიქოვს; კოლეჟსკი ასესორებს: ტფილისის გუბერნიის პროკურორის თანაშემწეს თანამდებობის აღმასრულებელს ელიაზაროვს, ტფილისის პალატის სეკრეტარს ერიცოვს, ტიტულიარნი სოვეტნიკებს: მეორე მეჟევის კამისიის თავმჯდომარე მეჟევის წევრს ყიფიანს, სენაკის მაზრის ნაჩალნიკის თანაშემწეს ჭიჭინაძეს და ტფილისის გუბერნიის სამმართველოს სტოლნაჩალნიკს ინდუაშვილს; შუშის უეზდის მსაჯულის თანამდებობის აღმასრულებელს პოლტარაცკის.

წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა: კოლეჟსკი ასესორებს უფროსს საქმეების — მოწარმოვებს ტფილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში თავადს ბარათაშვილს, უმცროსს საქმეების-მოწარმოვეს იმავე კანცელარიაში არდაზიანს, სართაჭლის უჩასტკის მდივანბეგს ყუზანოვს, და ტფილისის კლასიკურის გიმნაზიის პანსიონის ექიმს, მედიცინის დოქტორს ტერ-ზრიქუროვს, ტიტულიარნი სოვეტნიკებს: ზაკავკასიის სახაზინო პალატას კონტროლერს ტერ-ასატუროვს და ტფილისის საქალაქო საავათმყოფო ექიმს ტერ-ასატუროვს; კოლეჟსკი სეკრეტრებს: ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისსეკრეტარს თუმანიშვილს, სამეგრელოს სამმართველო რჩევის სტოლნაჩალნიკს მაჭავარიანს; ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს სტოლნაჩალნიკს გუბერნსკი სეკრეტარს ლოლობერიძეს; კოლეჟსკი რეგისტრატორებს: ზუგდიდის მაზრის ნაჩალნიკის თანაშემწეს თავადს ჯორჯაძეს, უმცროსს ჩინოვნიკს განსაკუთრებითის მინდობილებისა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორთან ბაქრაძეს, უმცროსს ჩინოვნიკს განსაკუთრებითის მინდობილებისა ერევნის სამხედრო გუბერნატორთან ბეჟანბეგოვს და ტფილისის შთამომავლობითს საპატიო მოქალაქეს ნიკოლოზ მირიმანოვს.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი „მიხეილ“.

## პოლიტიკა.

**იტალია.** მილანის ჟურნალი Secole, რომელსაც ვითარიმე დამოკიდებულება აქვს რიკაზოლთან, ამბობს: ვითომც შერიგება პაპასთან შეიძლებოდეს შემდეგის პირობაებით, წმინდა მამა უარს იტყვის საპაპო სამფლობელოებზედ, რომელთაც, რომის გარდა ნება მიეცემათ თავიანთის სურვილის გამოთქმისა. ის არ გაერევა რომის სამმართველოში, რადგანაც რომი მიიღებს ალმორჩევითს საქალაქო განგეობას და ვრცელს უფლებაებს. ის უარს იტყვის მილიციაზე, რომელსაც დაითხოვენ. ის მიიღებს ყოველსავერაცაქამომდე შესრულებულია და გაემგზავრება ფლორენციას, რომ ვიქტორ-ემმანუელი დაავგვირგვინოს. ამის ნაცვლად იმას დაენიშნება გადაჭრილი ჯამაგირი (Liste civile). ფლორენციას აღიარებენ იტალიის სატახტო ქალაქათ, რომს კი—სასულიერო და თავისუფალ ქალაქათ. დასასრულ, ეს პირობაები ვალდებული იქნება იტალიისთვის მხოლოთ... ვიდრე პიო IX მღვდელ—მთავრობს. სასულიერო ჟურნალები ადარებენ ამ განკარგულებას, რომლითაც პაპა „იძულებულია გაყიდოს თავისი საერო უფლება დროებითს პენსიაზედ“ იმ ოსპს, რომელიც სამღთო წერილშია მოხსენებული. ს უბედუროთ, რაც უნდა მოიქმედოთ გასყიდვა საჭიროა. დეკემბრის წიგნში Revue des deux mondes, ფრანცუზის მწერალი მაზადი ამბობს ერთის რომის სასულიერო პირის სიტყვით, რომ რომის საქმის დასაბოლოებლათ სამი ღონისძიება არისო: პაპის თანხმობა, მაგრამ ამაზედ ვერც კი ვიფიქრებთო, რადგანაც პაპა პირდაპირ არაზედ არ დასთანხმდებაო; პაპის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ღონისძიებით მთელი ევროპის სარელიგიო გრძნობას ავაშფოთებთო და ბოლოს, პაპის დაუკითხავათ, ესე იგი, როდესაც იმის თანხმობას არ დავეკითხებითო, მაგრამ ვეცდებით კი, რომ დავიცვათო იმისი ღირსება, პატივი და დამოუკიდებლობა. უკანასკნელი ღონისძიება უკეთესი უნდა იყოსო.. ყველა ჰხედავს, რომ პაპა მაშინ დაიჭერს თავისს მფლობელობაში, რაც იმას ახლა უჭირავს, თუ რომ იტალია ნაწილ-ნაწილ დაიგლიჯება; და თუ ის არ დაიგლიჯება—ეს უეჭველია—, მაშინ, რა საკვირველია, ვერავინ ვერ მისცემს პაპის ქვეშევრდომებს, დაბრკოლებას რომ ხალხს არ შეუერთდნენ. ახლა საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამისი აღსრულება დროს განმავლობას მივანდოთ. მხოლოთ ეს უნდა ვიცოდეთ, შეიძლება თუ არა ეს საქმე დაბოლოვდეს წყნარათ, უშფოთველათ. რომის სახალხო კომიტეტი თავისს პროკლამაციაში 14 დეკემბერს რომაელებთან აფთხილებს მოქალაქეებს ყოვლის უწესოებისაგან, რომელიც უნდათ აღძრან იტალიის მტრებმა. კომიტეტი ამბობს: „ჩვენთვის საჭირო არისო ერთსულობა, წესი, სიმტკიცე და წყნარი მდგომარეობა იმ დროს განმავლობაში, ვიდრე ჩვენი სურვილი აღსრულებაში მოვიდოდესო. შევიცადოთო... ძლევა უეჭველიაო. სასულიეროს წოდების დესპოტიზმის დღენი ნამდვილათ აღრიცხულნი არიანო“. მაშასადამე, ამ მხრიდამ არ არის მოსალოდნელი შფოთება. ამას უნდა მოველოდეთ პაპის ზუავების მხრით, რომელნიც არიან შემთხვევის მეძიებელნი, დისციპლინას არ დასდევენ და რომელნიც ხალხსა სძულს. ისინი უნდა შევიკავოთ. რაც უნდა იყოს, იტალიის მმართებლობა ამ საქმის გზას უნდა დაადგეს მტკიცეთ და არ გადახდეს არც აქეთ, არც იქით... რასაც ახლა ჩვენ რომში ვხედავთ, ყოველივე ეს გარეგანი მშვიდობიანობაა, რომელზედაც გავლენა აქვს იმ ხმას, ვითომც საშობაოთ რომს მოვიდეს ფრანცუზების იმპერატრიცა. ვიდრე ეს აღსრულებოდესო, რომის სასახლე, Opinione-ის სიტყვით, დიდიდამ პატარამდე ჰგავსო ყმაწვილს, რომელისთვისაც ძიძა წაურთმევიათო. ეს ჟურნალი ამითი აბოლოებს, რომ ყმაწვილი ტირილისა და ჭინიანობის შემდეგ, თვითონვე მოითხოვსო საჭმელს. მაგრამ იკმაყოფილებსო თუ არა ოსპის ჯამს; ეს სხვა არისო.

—იტალიის ცეცხლის-გემზედ თავსდაცემა. გაზეთში Italie ალექსანდრიიდამ იწერებიან ზოგიერთს ცნობებს იტალიის ცეცხლის-გემის თავს დაცემის შესახებ. აი რასა სწერენ ამ წიგნში: „დღეს ჩვენში უმრავლესი ახალი ამბებია. იტალიის ცეცხლის გემი თომასი ბრინდიზიდამ ეგვიპტეში მოდიოდა. როდესაც ეს გემი კანდიას დაუპირდაპირდა იმას უეცრივ ოსმალეთის კრეისრები თავს დაეცნენ და თერთმეტი ყუმბარა ესროლეს.

---

ახლა ხალხზედ გადვიდეთ. როგორც ერთი კაცი, ხალხიც აგრეთია. კაცსა აქვს თავის სიყმაწვილე და სივაჟკაცე; აგრეთვე ხალხსაც თავისი ყმაწვილობის და ვაჟკაცობის დროება აქვს. როდესაც საზოგადოებას, ანუ ხალხს არივითარი მეცნიერება და განათლება არა აქვს, იმან მხოლოდ იმდენი ნივთის სახელი და თვისება იცის, რამდენსაც ჰხედავს და რამდენიც გამოცდილებით მოუპოვებია. რაც აზრი და გონება აქვს, იმის მეტს თავის ენით ეს ხალხი ვერ გამოთქვამს. როცა ის სწავლით მდიდრდება, ჭკუა ეზრდება, ახალი აზრები თავში ებადებიან, მაშინ ამ ახალის აზრების გამოსათქმელად ახალს სიტყვებს მოიგონებს ხოლმე. ეს სიტყვები იმის ენას შეეთვისება და ამ ხალხის საკუთრებათ გახდებიან. ლინგვისტებს (საენო მეცნიერებს) და სხვა სწავლულებს გარდა, მეტი ვერავინ გამოიცნობს, ეს სიტყვები ადგილობრივ მოგონილია, თუ სხვა ენიდამ გადმოღებულია.

რადგანაც ყოველს ხალხს ჰსურს თავის ჭკუის განათლება დამეცნიერების შეძენა, ჩვენც აგრეთვე უნდა ვეცადოთ სწავლის გადმონერგვას ჩვენს მხარეში. უსწავლელად ხალხი პირუტყვია; მეცნიერების საშუალებით კი ბუნების ძალასაც თავის სასარგებლოდ მოიხმარს. ამ კანონის თანახმად ახალის აზრის და მეცნიერების წარმოსათქმელად „დროებას“ უეჭველად ახალი სიტყვები უნდა ეხმარა ხოლმე. კაცმა არ უნდა თქვას, ახალი აზრი ახალის სიტყვებით რათ წარმოთქვესო. ამას რა კიახვა უნდა, რომ თუ კი აზრი ახალია, იმას ახალი სიტყვებიც დასჭირდება. მაშ ახალის აზრის შემოსატანათ ახალის სიტყვების მოუხმარებლობა შეუძლებელია. ეს აქამდისაც ასე ყოფილა. ვინ იფიქრებს თუ სიტყვები: კანონი, სვინიდისი, პარასკევი, პატრონი, ოჯახი, ბარათი, კალამი, ფული, საპონი და მრავალი სხვა, ჩვენი სიტყვები არ იყოს; მაგრამ არა. ეს სიტყვები სულ უცხო ენებიდამ არიან შემოტანილნი. აბა ახლა წარჩინებულს ძველს მწერალს რუსთველს ვკითხოთ თუ რამდენი არაბული და ბერძნული სიტყვები უხმარია თავის თხზულებაში. ვეფხვისტყაოსანი გადაშალე, მკითხველო, და მაშინ შეიტყობ. უახალ-სიტყვებოთ ჩვენი მწერლობა ვერ გაიხარებს, ვერ გავრცელდება, როგორც უიმისოთ განათლებულის ხალხების ლიტერატურა ვერ გავრცელებულა. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ახალი სიტყვები ახსნილი უნდა იყოს. ვგონებ ამ აზრითაც უფრო ჯავრობდა საზოგადოება, როცა ამას იტყოდა ხოლმე: —ესა და ეს სიტყვები რა ეშმაკური რამ გამოუგონიათო, რომელსაც ვერც თავი და ვერც ბოლო ვერ გავუგეთო. ამ შემთხვევაში რამდენათაც „დროება“ იყო დამნაშავე, იმდენათ თვით გარემოებაც. თითქმის არც ერთი ახალი სიტყვა, „დროებას“ აუხსნელი არ დაუტოვებია, მაგრამ ერთის ახსნით მკითხველი უცხო სიტყვას ვერ გაიბეჯითებს, რადგანაც იმისი მნიშვნელობა მალე დაავიწყდება. ამისთვის ყველას ის ემჯობინება, რომ ახალი სიტყვები, რომლებიც მთელის წლის განმავლობაში ხმარებულა, „დროებამ შეკრიბოს და მოკლე ლექსიკონი გამოსცეს. თვით „დროების“ მოვალეობაც ამას მოითხოვს და საზოგადოების ჩივილიც დაწყნარდება.

ამისგამო მკითხველების ჯავრობა თუმცა ბევრში საფუძვლიანია ამ შემთხვევაში, მაგრამ „დროებას“ მაინც დიდათ არ შეაწუხებდა, რადგანაც ამისთანა უკმაყოფილება დროსა და დროს გავლით თან-და-თან შემცირდებოდა და კიდეც მოისპობოდა. მაგრამ „დროებისთვის“ საწყინარი მოსასმენი ის იყო, როცა შეიტყო, რომ მკითხველს სწყინსო იმისი მკაცრი ლაპარაკი.—„ჯერ რომ არც კი გამოსულა ასპარეზზედ და ასეთ უკმეხ სიტყვებს ისვრისო, მაშინ რაღა ხეირს დაგვაყრის, როცა ის უფრო ღონეს და ძალას მოიცემსო. მკითხველი ამბობდა, ვინ მისცაო იმას იმდენი სიმართლე, რომ ჩვენ შინა-ცხოვრებას შეეხოს და შინაური ჭუჭყი გარეთ გამოიტანოსო?.. ამას თუ არ მტერი, კაცს მეგობარი როგორ უზამსო“.

„დროებას“ განა ის კი არა სწყენია, რომ ზრახავდნენ, უფრო ის ეწყინა, რომ მკითხველი ასე მრუდეთ ისმენდა იმის ლაპარაკს. ეს ერთ შემთხვევას მომაგონებს. ორი მეგობარი მიდიოდა ერთ თვალ-უწდომელს მინდორზედ. პაპარაქა სიცხის არმული იყო გამდგარი იმ არემარეზედ. მგზავრები სიცხით სულს ვერ იბამდნენ. ისინი ასეთ ხმელსა და უნაყოფო მხარეს მოხვდნენ, რომ ხის ნატამალი არ მოიძეოდა. მიწა მეტის-მეტის გოლვისაგან თითო მტკაველზედ იყო დამსქდარი. მეგობრები მეტის წყურვილით პირს აწლაკუნებდნენ. ამისთანა პაპარაქებაში მგზავრობა კიდევ უფრო უმატებდა იმათ წვალებას. ენა გაუშრათ, ყელი გაუხმათ ბედკრულს მეგობრებს.—ნეტავ როდის მოვრჩებით ამ ღვთის პირისაგან შეჩვენებულს პიპალო მინდორსა—ჰკითხა ერთმა მეორეს.—უფალმა უკეთ უწყის—წამოიძახა მეორემ და სასოწარკვეთილების ფერმა გადაჰკრა. ამ დროს შორს დაინახეს ცისფერი მაღლობი.—ღმერთო, ვინ ღირს შენს წყალობას,—სიხარულით დაიძახეს ორივე მეგობრებმა.—იქ ალბათ ჩრდილიც იქნება და წყაროც მოიძებნება. არაქათ წართმეულებმა მიაწიეს უკანასკნელი ღონე და მივიდნენ იმ გორის ძირსა. წარმოიდგინე, მკითხველო, რა რიგის სიამოვნებით დაეხტნობოდნენ..... იმ გორიდამ მშვენიერი წყარო გამოჩუხჩუხებდა. წყაროს ჩრდილავდა ძეწნის ხეები და იქიდამ მონადენი ტკბილი სიო არაქათ წართმეულს მეგობრებს უგრილებდა და ღონეს უბრუნებდა. ამ ტკბილს სიგრილეში და წყაროს ჩუხჩუხში ერთს იმათგანს ღრმად მიეძინა. ამ დროს წყაროდგან გველი ამოძვრა და მიძინებულს მგზავრს კბენა დაუპირა. იმ წამს მეორემ კარგი ქისტი უთავაზა დაძინებულს მეგობარს, აქეთ გადმოაგდო და გველს კი თავი გაუჭეჭყა.—ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი მეგობრობაცაო—უთხრა ძილდაფთხობილმა.—შენ მეგობარი კი არა მოსისხლე მტერი ყოფილხარ, რომელსაც ჩემი ტანჯვა და ცემა გყვარებიაო. წადი თვალიდამ დამეკარგეო. იმ უგუნურს იმდენი სინათლე თვალში კი აღარ დაურჩა, რომ იქვე თავ გატეხილი გველი დაენახა. სწორეთ ამ გვარათ მოიქცა ზოგი მკითხველი. იმან დაიწყო ჯავრობა, „დროებამ“ ისე ენა რად დაიგძელა, რომ ჩვენი ნაგავის კარში გამოტანა დააპირაო. ამ შემთხვევაში „დროება“ ძლიერ სწუხს, მაგრამ იმას კა არა, რომ ბოდიში მოიხადოს მკითხველის წინ; არა, ის იმასა სწუხს, რომ მართლაც ვერ მოახერხა ჩვენი შინაცხოვრების შეუფერებლობის გამოხატვა. იმას იმდენი ღონე არა ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების უმგზავსოება ნათლად წარმოედგინა მკითხველის თვალ წინ. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ყველას თავს მოგვაქავებდა და ჩვენს შინაცხოვრებაზედ ჩაგვაფიქრებდა; მაგრამ ვაი, რომ ამისთვის არც გარემოება გვაძლევდა ნებას და არც შესაფერი ღონე მოგვდევდა!..

კაცი, მკითხველო, ასეთი არსებაა, რომ მინამ რაიმე საზოგადო სენი კარგათ არ დააზარალებს, იმის მოშორებას არ ფიქრობს. როგორც მოგეხსენება, მკითხველო, იმერეთში მინდვრად და ბაღებში ბევრი ტყემალი, ალუჩა და ქლიავი იცის. გაზაფხულზედ, როცა ეს ხეები ნაყოფს გამოიღებენ ხოლმე, უნდა გაყურებინათ როგორ ფუტკრებსავით მიესევიან ხოლმე იქაური ყმაწვილები ამ ხეების უმწიფარს ნაყოფსა. ისინი დედმამასწინ იტენებიან ხოლმე, ამ მავნებელი ნაყოფითა, მაგრამ უფროსებს აზრშიაც როგორ მოუათ ამისი დაშლა. შემდეგ, როცა ყმაწვილს მუცელი გრიალს დაუწყებს, სისხლს ასაქმებს და ყმაწვილი სასიკვდილოთ თავს გადადებს, დედმამა თავში ხელს მხოლოდ მაშინ შამოიკრავს და ეუბნება თავის თავს:—ეს რა უბედური დღე დამადგა, რა ღმერთი გამიწყრა, რომ ყმაწვილს კვახე ნაყოფის ჭამა არ ავუკრძალეო. კიდეც ეგ არის, ჩემო თვალის სინათლე, რომ გაფრთხილება და წინათ მოსაზვრა გკლებია. ჩვენში ანდაზათ არის დარჩენილი: ურემი რომ კაცს წაიქცევა, გზასაც მაშინ მოსძებნისო. საქმე ის არის, მინამ ურემი გადაბრუნდებოდეს, კარგი გზა მონახო, თორემ რაკი ურემი დაგემტვრევა, შოსსეც რომ გააგო, მაინც დამტვრეულს ურემს ვერას უშველი. რადგანაც ყოველი საზოგადოება თითო პირებისაგან შესდგება, ამისთვის რაც ნაკლულევანება ერთს გვამსა სჭირს, იგივე ნაკლულევანება მთელის ხალხის თვისებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხს კიდევ უარესი თვისება სჭირს. აი, თუნდა წარმოვიდგინოთ ერთი რომელიმე სოფელი. ვთქვათ ამ სოფელს მგელი შამოეჩვია და ერთს მოსახლეს ხარი წამოუქცია. საწყალი ხარის პატრონი ყველას წუწუნით შეჰჩივის, მგელმა ხარი შემიჭამაო. ის კი არა თუ მაშინვე მთელი სოფელი წავიდეს სანადიროთ და ნადირი მოიცილონ. არა. ყველა ფეხმოკეცილი ზის და საწყალს ხარის პატრონს სასაცილოთ იგდებს:—ახია თუ შეუჭამია, რატომ კარგათ არ გაუფთხილდა, რატომ ყოველ ღამ ბაკეში არ ებაო. უზრუნველად გაუშვია მინდორში, რასაკვირველია, ნადირი შეუჭამდაო. კარგი, ეს არაფერი; მაგრამ საქმე ამით არ მიწყნარდება. ვნ-

მაგრამ ბერძნების ბედზედ ცეცხლის-გემს მარტო ოთხი ყუმბარა მოჰხვდა და დააზიანა გემის წინაცხვირი და საკომლე მილი. თუმცა გემი ძალიან დიდათ არ დაზარალებულა, მაგრამ გემში მყოფნი კი დიდათ ამ ბარბაროსულმა მოქცევამ შეაშფოთა და მოულოდნელი თავ-ზარი დასცა შეეძრწუნება და შიში დიდი გამოიარეს ამ საწყლებმა. და მართლაც ყველანი დიდს განსაცდელში იყვნენ. ოღონდკი ცეცხლის-გემს მოხდენოდა ერთი ყუმბარა იმ ალაგს, სადაც ის წყალთან თანასწორივ იდგა, და ის მაშინვე ჩაილუპებოდა ზღვაში; ცეცხლის-გემის წინამძღვარი გავიდა ოსმალეთის გემის კაპიტანთან და ძლივ-ძლივობით დააჯერა ის, რომ ეს იტალიის ცეცხლის-გემია და ალექსანდრიაში მიემგზავრება, რომ ამას ქანდიის განდგომილებთან არავითარი კავშირი არა იქვს. ჯერ პირველად ოსმალეთის კაპიტანმა არ ათხოვა იმის სიტყვებს არა ვითარი ყურადღება. ის ამტკიცებდა, რომ ეს საბერძნეთის ცეცხლის-გემია და აპირებდა იმის დატყვევებას. ბერძნების ბედზედ იმ ცეცხლის-გემზედ იყო ერთი ანგლიელი მეხანიკოსი, ოსმალეთის კაპიტანი მარტო იმის სიტყვებს ერწმუნა და იტალიის ცეცხლის გემი მშვიდობით გაისტუმრა. როდესაც ეს ცეცხლის-გემი მოვიდა ალექსანდრიას, გემის წინამძღვარმა ამ საქმეზედ დაწვრილებით ამბავი წარუდგინა უჰთავრესს იტალიის ელჩს.— ოსმალეთის კრეისრები ტყუილად გამოედევნენ საბერძნეთის ცეცხლის-გემს „Panhellenion-ს“ სმირნიდამ იწერებიან, რომ ამ ცეცხლის-გემის დასაჭერათ სულთანმა გაგზავნა მშვენივრათ-მოკაზმული იახტი, (*) რომელიც საათში 16 მილს გარბოდა. მაგრამ აი რა უბედურება შეემთხვა ამ იახტას, რომელიც ისე მშვენივრად მიმოქანებდა ზღვაში. თითონ იმას თავს-დაეცა მოხსენებული ცეცხლის-გემი Panhellenion-ი და ულმალად ჩალუპა ზღვაში. აი გიამბოთ, როგორც ყოფილა ეს საქმე. Panhellenion-ი ქანდიას იყო და უკან დაბრუნდა. ამ დროს იმან თვალი მოჰკრა შორს, ძალიან შორს სულთნის იახტას, რომელიც გამოედევნა იმას დიდის სიმკვირცხლით. მაგრამ Panhellenion-ი არ შეუშინდა და გმირულად გაესწრაფა, რომ ამ იახტას პირდაპირ დასტაკებოდა. ის საკვირველად მარჯვედ მოიქცა და ძლიერად დაეჯახა თავისის წინა-ცხვირით სულთნის იახტის კორმს. იახტა ვერ გაუმაგრდა და ზღვაში ჩაილუპა. მაგრამ Panhellenion-ს ეს მამაცური საქმე მსუბუქათ არ დაუჯდა. ზოგიერთს ალაგას ისიც დაზიანდა და წავიდა სირში, სადაც იმას ხელახლა ჰმართვენ.

— რომის სანაციანალო კამიტეტმა გამოსცა შემდეგი პრაკლამაცია: „რომაელნო! ძლივს ბოლოს გველირსა ფრანციის ჯარის გასვლა რომიდგან და იტალიის განთავისუფლება უცხო—ქვეყნელებიდამ. ალპიდამ დაწყობილი ზღვამდინ აღარც ერთს უცხოქვეყნელს არ უპყრია ხელში დროშა, რომელზედაც წარწერილი იყოს: „ძალ-დატანება“ ან და „დამამცირებელი მფარველობა.“ ამ გვარი საქმე შეუკრთობს უცხოქვეყნელს გულს და თქვენც აღგანთებთ აღტაცებით და აგავსებთ სიხარულით. აი ეხლა ასრულდა ის, რაც ჩვენ გვწადდა ამ თვრამეტის წლის განმავლობაში. რომი თავისუფალია და როგორც უნდა ისე წარმართავს თავის მომავალს სვეს. ამ გვარი მარად სახსენებელი საქმე ღრმად უნდა შთაიბეჭდოს ყოველმა რომაელმა, რომელსაც მამულის-სიყვარულით გული აღგზნებული აქვს. 14 დეკემბერი 1866 წ. ახალს ერას (*) აღნიშნავს. ამ დღიდამ სარწმუნოების მსახურებს ველარ შეურაცხ-ჰყოფს სიმტარვალე, რომელიც კაცის გულს ააღელებს. რომი შეიქმნა დამოუკიდებელი და ბედნიერი. ახლა ჩვენ, რომაელნო, უნდა შევათავოთ დიდი საქმე. თუმცაღა გვიან, მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც სიმართლემ გაიმარჯვა. ახლა ჩვენი ქვეყნის სვე ჩვენს ხელშია. ეს წამი დიდათ სადღესასწაულოა და ძლიერი მნიშვნელობა აქვს ჩვენის მომავალის ცხოვრებისთვის. ახლა მთელი ქვეყანა ჩვენ გვიყურებს და ვინ იცის რამდენს რასმე არ განიზრახავენ ჩვენზედ. ჩვენ ძლიერნი ვართ, რადგანაც დამყარებულნი ვართ ჩვენს სიმართლეზედ და მტკიცედ გაგვიზრახია, რომ ამ სიმართლით ვისარგებლოთ. ვაჰემზადნეთ, რომ ამ უდიდესს საქმეს დავეხმარნეთ თავით, გულით და, თუ საჭირო იქნება, ხელებითაც. არ დავიწყებთ ტყუილად ბევრს ლაყბობას და არც მოვახდენთ უდრო—უდროვო, მოუფიქრებელს აგიტაციებს. უკეთესი იქნება, რომ ჩვენ გაგვშორდნენ ისინი, ვისაც არ შეუძლიანთ თავისი თავი უმსხვერპლონ მაშინ, როდესაც ჩვენ გვმართებს დიდი სიფთხილე და სიმტკიცე ყოველს საქმეში. ჩვენს მემამულეებში არიან ბევრი მამაცი და კეთილ-მოქმედი მოქალაქეები. ამას მომავალი დაგვიმტკიცებს. — დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ გადევნებენ თვალს ისინი, ვისაც მინდობილი აქვს თქვენზედ მზრუნველობა. აი რა უნდა იქონიოთ: თქვენში უნდა დამყარდეს ერთსულობა; თქვენ მტკიცედ უნდა დაიცვათ წესი; ამასთან უნდა იყვნეთ მშვიდათ და შეუშფოთებლათ, მინამ არ მოვიდოდეს ის წამი, როდესაც ჩვენის წადილის ასრულება შეიძლებოდეს. ამისთვის შევერთდეთ ერთად, მივცეთ ერთმანეთს ხელი და ყველამ ერთ სულად მოვიწადინოთ რომის ბედნიერება მომავალში. დაე, ნუ დაიკარგება ტყუილად ცოტაოდენი ჩვენი ძალა, რომელიც ჩვენის სამშობლოს ბედნიერებისთვის შეგვიწირავს. პაპის დესპოტობას აღსასრულის დრო მოუვიდა. სანაციონალო კამიტეტი იქნება თქვენი ხელთ-მძღვანელი როგორც სიტყვით, ისე საქმითაც. 14 დე-

(*) იახტა არის პატარა და ძალიან მკვირცხლი გემი, რომელსაც უფრო შესაქცევრად ხმარობენ.

(*) ერა შესანიშნავი შემთხვევაა, რომლიდგანაც სხვა და სხვა ხალხნი იწყებენ თავის წელთა-მრიცხველობას.

---

ხოთ მეორე დღეს, მეორე მოსახლეს ცხვარი დააკლდა; მერე მესამე მოსახლეს მგელმა ღორი მოსტაცა. ამ რიგათ მთელს სოფელს თითო-ოროლა საქონელი მოაკლდათ. ახლა კი ყველას ზურგის კანი ასტკივდა. ყველა იძახის,—არიქა, მგელი თავიდამ მოვიცილოთ, თორემ პირუტყვისაგან გაგვცალა, მაგრამ არც ამით არა გაკეთდა რა. თუმცა ძლიერ ყვირიან, არც ერთი კარში ფეხის გამოდგმას კი არა ფიქრობს. თუნდ რომ კიდეც წავიდნენ და ნადირი მოკლან, მაინც ეს ზარალს ვერას უშველის. ამ რიგათ, მკითხველო, უთანხმოებისა და უზრუნველობის გამო მთელმა სოფელმა სულ ტყუილათ უბრალოთ იზარალა. ქიდეც ეგ არის ხალხის ნაკლულევანება, რომ იქ თანხმობა და ერთი პირი არ არის. ამ უთანხმოების გამო ყველა ზარალშია. ერთს რომ სახლი ეწოდეს, მეორე მოხმარების მაგივრად, შეჩერებია და ჰხარობს: „ოჰ, რა წიაკოკონია გაჩნდაო“! იმას კი არ ფიქრობს, რომ თუ ეს ცეცხლი გაძლიერდა იმის სახლსაც შემოედება.

ხალხში ბევნაირი წრის კაცებია: ერთია მდიდარი, მეორეა ღარიბი, მესამეს ლუკმა პურიც არა აქვს. ამას გარდა ხასიათით და თვისებით რომ განირჩევიან, იმისთანაებსაც მრავალს შეხვდებით; ხალხში იპოვნით ჭკუიანსაც და უჭკუოსაც, გონიერსაც და გიჟსაც, მოცეტებულსაც და დაზანტებულსაც, დარდიანსაც და უდარდელსაც, ქეიფიანსაც და მწუხარესაც. ერთი რომ იძახის,—არიქა, ძმებო, ხმელა პური მაინც მომაწოდეთ, თორემ ლამის მეც და ჩემი ცოლ შვილიც შიმშილით დავიხოცენითო; მეორე კი ასე ეუბნება:—რამ გადაგრია, სადაური შიმშილი, რას გაუგიჟებიხარო. მგონი ამისთანა მაძღრობა თავის დღეშიაც არ ყოფილაო; პური კი არა, ჩიტის რძეც რომ დამჭირდეს, თქმის მეტი არა მინდარაო. მაძღარი მშიერს არ განიკითხავს და მშიერი მაძღარს ვერ უგრძნობს. ამისთანა გარემოებაში უნებურად მოგაგონდება ჩვენებური ანდაზა: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ღგონიაო“. ერთი რომ წინ გაისწევს, მეორე კალთაში აფრინდება: დაჯე, მამაგიცხონდება, თავხედი ნუ ხარო. აბა სულ იმ წინ რომ მიისწრაფი, ვინ იცის რა დაგემართებაო. აქ კი ჩვენ კერას ძირში ყველანი თბილათ და უზრუნველად ვცხოვრებთო: რაც არ ექნას მამაშენსა ნურც შენ დახევ ფარფაშებსა“. ვითომც როგორც შენს მამა-და-პაპას კომლიან სახლში თვალები უსრესია, შენც ეგრე იცხოვრეო. ის კიარა თუ უწინ შალის ჩოხითაც კარგათ გამოხვიდოდი გარეთ, ახლა კი შალის ჩოხა თუ ჩაიცვი, მაშინვე „ბიჩოს“ დაგიძახებენ და ღმერთმა იცის ან კი რა შეგემთხვევა! ყველას უნდა მაუდი ჩაიცვას და წმინდათ იცხოვროს; მაგრამ ამისთანა ცხოვრებას ფულიც უფრო ბევრი ნდომებია. ფულს შრომა და დიდი ჯაფა ყვარებია; ჩვენ კი ასე ვიძახით: აჰ, თუ ღმერთი გწამს, შრომის და ჯაფის სახელს ნუ გაგვაგონებ. ჩვენ ეგ სულიერი ძველიდამ არ გვყვარებია და არც ახლა გვიყვარსო“. ჩვენ უფრო მოსვენებულად ცხოვრებას ვართ შეჩვეულნიო. მაშ თუ აგრეა მეც ერთი მოვაჴრესი არ იყოს, მოგახსენებთ: უშრომოთ კნიაზის ჯიბეც ფხინკ!... გროშიც არ მოიპოვება! „ხარჯვას კი ღვთის მადლით ძალიან შეჩვეულნი ვართ და შრომა სულ არ გვიყვარს; ამის გამო არც ფული გვაქვს. მაშ საქმე სესხებაზედ მიადგა. ამაში რასაკვირველია მარჯვეთა ვართ, მაგრამ ვალს გადახდა უნდა, ჩვენ კი ფული არ გვაბადია. ამის გამო ვალს თან-და-თან ემატება და ადგილ მამული ცოტცოტარად მიდის ჩვენის ხელიდგან. ბოლოს, როგორც მგონია, ამით იმდენზედ მივატანთ, რომ ერთს ფილოსოფოსივით დაგვემართება, რომელსაც ტანსაცმლის მეტი არა ებადარა და საცა მივიდოდა ამას იძახოდა: (omnia mea mecum porto) რაც მაქვს თან დამაქვსო. ენამ მიყივლა! ღმერთი არ გაუწყრეს მართლა იმ ერთ ფილისოფოსსავით არ დაგვემართოს,—მარტო ტან საცმლის ამარა არ დავრჩეთ! მაგრამ ან კი რატომ არ უნდა დავრჩეთ?. სადაც არ ჩაიხედავ სახაზინო განცხადებაებში, ყოველგან ამოიკითხავ, რომ ხან ამ ქართველს მებატონეს უყიდიან ადგილ-მამულს და ხან იმ ქართველსა. ფცქვნიან საწყლებს, როგორც ქათმებსა. მაგრამ ამ ლაპარაკში ჩემ წინა აზრს გადავცილდი. ამას ვამბობდი: საზოგადოებაში ერთი რომ ერთ მხრით მიდის, მეორე მხრივ ეზიდება:— მანდეთ მიდიხარ, სად ხევში გადაგაგდებ, აქეთ წამო, კარგს გატკეცილს გზას გიჩვენებო; მაგრამ თვითონ კი სრულებით არ იცის იმისგან ნაჩვენები გზა გატკეცილია, თუ ბუჩქებიანი. ამისთანა მიხლა-მოხლაში ბოლოს იმდენზედ მივა საქმე, რომ საზოგადოებაში ორს კაცს ვერ ნახავ, რომ ერთი აზრი ჰქონდეთ და ერთ გზაზედ მიდიოდნენ. ყველას თავისი განზრახვა და გაცალკევებული წადილი აქვს. ყველას თავისი მოთხოვნილების წრე შემოუფარგლავს, კედელი შემოუვლია და სხვის დარდი აღარ აწუხებს. იმის კედელს გარეთ ქვეყანაც რომ დაიქცეს, ხმას არ ამოიღებს, კარშიაც არ გამოიხედავს. ამ დროს რომ რამე საზოგადო შემავიწროებელი გაჭირვება მოხდეს, ვთქვათ ნიაღვარი, ცეცხლი და სხვა სენი, არავინ ხელსაც არ გაანძრევს. ყველას თავის კერას ძირს ფეხი მოუკეცია და სხვის გაჭირვებას, ყვირილს ყურსაც არ უგდებს. იმას ჰგონია, ის სენი ამით გათავდება და ჩემამდინ ვერ მოატანსო და, რომ კიდეც მოატანსო, მაგარ კედელს მაინც ვერ შემომინგრევსო. მაგრამ სამღვთო წერილში სწერია, „როგორითა საწყაულითა მიუწყოთ, აგრეთითა საწყაულითა მოგეწყოსთო“. იმისი შემოვლებული კედელი საზოგადო სენს ვერ დაიმაგრებს. ქედელი გასტყდება და სენი სხვის გაჭირვების უგრძნობელს კისერში ხელს წაავლებს და გაგუდავს. ის დაიწყებს ძახილს: „მიშველეთ, მიშველეთ! მაგრამ როგორი საწყაულით სხვას მიაგო, იმისთანავეთი თვითონ იმას მიეგება. ამ გვარი კაცის დალუპვა გონიერის კაცის თვალში არც კია შესაბრალისი. ახლა ჩვენ უნდა ვიკითხოთ: ამნაირად დაწყობილს ხალხში კაცმა რა უნდა ჰქნას?.. ძველად იცოდნენ საყვირის ხმარება. ყოველს შინა და გარეგანს გაჭირვების დროს აძახებდნენ საყვირსა, მინამ ყველას ყურს არ გაუყრუვებდნენ, რომ თხასავით გაბნეული მოძმეები შეეკრიბათ და ერთად მოეფიქრებინათ ამ გაჭირვების თავიდგან მოშორება. საყვირს ახლა აღარ ხმარობენ. იმის მაგივრად ჩვენ დროშია შემოღებული გაზეთი და ჟურნალები. იმათ უნდა იმდენი ილაპარაკონ და იყბედონ, რომ საზოგადოებას კეთილი განზრახვა აღუძრან, კარგი გრძნობა გაუღვიძონ და ცხოვრებაში საუკეთესო მიმართულება მისცენ. ამას გარდა იმათ უნდა ნათლად დაგვანახონ ჩვენი უმგზავსოება, იქნება ამით მაინც ჩაგვაფიქრონ და მოგვააზრებინონ რამე, თორემ ჩვენ თვითონ ვერაოდეს ვერ ვხედავთ ჩვენს ნაკლულევანებას და ჩვენი თავი ყველას შეუმცდარი გვგონია. მაგრამ როდესაც კაცი ჩაფიქრების მაგივრად ჯავრობას დაიწყებს, იტყვის,—ასე რათ გვლანძღავენ, რომ ჩვენ ნაკლულევანებას თვალით გვიჩვენებენო,—ამისთანა კაცი შენ როგორ მოგწონს, მკითხველო?.. ამის ასახსნელად მაგალითს ვიტყვი. წარმოვიდგინოთ ყმაწვილი, რომელსაც გულზედ წვინტლი აქვს. მეორე ყმაწვილი ეუბნება; „აი, გულზე წვინტლი გაქვს, მოიშორეო“. იმან რომ წვინტლის მოშორების მაგიარად თავის ავხანაგს ჯავრობა დაუწყოს, როგორ თუ შენ მაგისი თქმა გაბედე, მე კი არა წვინტლი თუ კარგია, შენ გქონდესო.—აბა ამისთანა ყმაწვილზედ რაღას იფიქრებ მკითხველო?... სწორეთ უგუნური უნდა იყოს, თორემ ჭკუიანი მაგისთანა საქმეს არ იზამს. ახლა ვთქვათ ის ყმაწვილი უფროსთანაც წავიდა საჩივლელად, უთხრა, ამა-და-ამ ყმაწვილმა გამლანძღაო და ჩემს თავს ნუ ალაპძლევინებთო. ამისთანა ყმაწვილზედ რაღას იფიქრებთ, მკითხველო?.. ამისი განსჯა თქვენთვის მომინდვია. ჩვენ მეტს არას ვიტყვით, მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ წარსულს წელს ჩვენს საზოგადოებაშიაც ამისთანა შემთხვევა მოხდა.......

ქარგი უცუდოთ შეუძლებელია. ამისთვის საზოგადოებაშიც თუ იმ ყმაწვილებისთანა პირები გამოჩნდნენ, იმათ არ უნდა ეწყინოთ საზოგადო ნაკლულევანებაზედ ლაპარაკი. ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილიც მხოლოდ ის არის, რომ ცუდი ხალხში მოისპოს და კარგს მიეცეს წარმატება. ამით ვათავებთ წარსულის წლის ანგარიშს. რაც უნდა უკმაყოფილოდ ვიყოთ წარსულის წლისა, ის მაინც ჩვენთვის ნეტარ სახსენებლად უნდა დარჩეს, ამიტომ რომ იმან ერთი საზოგადო მოლაპარაკე შეგვძინა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ „დროებას“ ბევრი ნაკლულევანება აქვს; მაგრამ სასიხარულო ეს არის, რომ „დროების“ გამოსვლით სამშობლო ენაზედ საზოგადოთ ლაპარაკის ნება მოგვეცა.

(შემდეგი იქნება.)

კემბერს 1866 წ. „რომის სანაციონალო კამიტეტი.“

**ფრანცია.** გაზეთში Temps სწერენ: „1863 წლის ამორჩევაში მმართებლობის კანდიდატს (¹) ღერლინკურს ამოუვიდა 28,029. კენჭისაგან, რომელიც პა-დე-კალის დეპარტამენტის მეექვსე მაზრაში ითვლება, 27,603 წლის მმართებლობის კანდიდატს სანს ამოუვიდა მხოლოთ 19,901 კენჭი და ერთათ-ერთს ოპოზიცის კანდიდატს შლორენ—ლეფევრს—19,023. ეს ახალი ფაკტი, სხვათა შორის, ცხადათ ამტკიცებს, რომ ლიბერალური იდეები ძალიან ჩქარა და შეუჩერებლათ ვრცელდებიან ყოველს ალაგს ფრანციაში.“

**ოსმალეთი.** ათინიდგან იწერებიან, 15 დეკემბერიდგან, რომ თესალიაში (²) ხალხი ადგა და აგრაფთან (ქალაქია თესალიაში) მოხდა კიდეც ომიანობა ოსმალოებს და ბერძნებს შორის. მომატებული ნაწილი გაზეთებისა ამბობს, რომ თუ კანდიელების ადგომის დროს ოსმალეთს და საბერძნეთს შორის განხეთქილება არ მოხდა, ახლაკი თესალიის ადგომა უეჭველათ ომიანობას მოახდენს ამათ შორის. ზოგიერთი ნემეცური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ახლა არამც თუ მარტო ანგლია ცდილობს ყურადღება მიაქციოს და შეწევნა მისცეს ოსმალეთის ქრისტიანებს, არამედ ფრანციის მთავრობაც მიხვდა, რომ აღმოსავლეთის საქმეებზე ისე არ უნდა მოიქცეს, როგორც მარკიზს მუტიეს სურს. ისინივე ამტკიცებენ, რომ რადგანაც მარკიზს მუტიეს უჭირავს ოსმალეთის მხარე, ამიტომაც ბევრნი მინისტრები გადუდგნენ იმას. ამას გარდა ამბობენ, რომ ფრანციის მინისტრებს ბევრ-ჯერ ჰქონდათ კრება აღმოსავლეთის საქმეებზე, და ვითომც ამას შემდეგ ნაპოლეონის მთავრობა ცდილობდეს ამ საქმეებზე რუსეთის მთავრობას დაუახლოვდეს.

—ოსმალეთის ბერძნების მაზრაში მღელვარება თანდათან ძლიერდება, რადგანაც კანდიის განდგომილებამ აქამდის გასწია. როდოსის (³) ფაშა ითხოვდა კონსტანტინოპოლში, რომ იმისთვის შეწევნა მიეცათ ჯარითა. ამ თხოვნის შემდეგ როდოსის კუნძულისკენ გაიგზავნა 2 გემი იმ გემებიდგან, რომლებიც კანდიასთან იყვნენ. სომხები და ბერძნები ანატოლიაში (მცირე აზიაში) ითხოვენ ოსმალეთის მთავრობისაგან სხვა და სხვა უფლებაებს. ამათ გარდა კონსტანტინოპოლის ბერძნებში არსებობს დიდი მღელვარება, რომელზედაც ოსმალეთის მთავრობა ძალიან დაფიქრებულია და ძალიანაც ეშინიან.

— აღმოსავლეთში დიდი საქმეები და ყველგან მოძრაობა და სიცოცხლეა. საქმეები სწრაფად მიმდინარეობენ. ბერძნებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ისინი არიან გამხნევებულნი თავის მამა-პაპის ვაჟკაცობით, რომელიც იმათ ამ საუკუნის დასაწყისში გამოიჩინეს, თავისუფლების მოსაპოვებლად ოსმალეთის წინააღმდეგ. თუმცა ბერძნები რიცხვით მცირენი არიან, მაგრამ ისინი მხნედ და მამაცურად იბრძვიან. როდესაც ევროპაში პირველად მოვიდა ამბავი კანდიელების ადგომაზედ, ყველანი გაოცებას მიეცნენ და სრულებით არა სჯეროდათ, რომ კანდიელების საქმეს წარმატება მიეცემოდა. საზოგადოთ ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ოსმალები განდგომილებს ჩქარა დაამშვიდებენ და დაიმორჩილებენ. მაგრამ ახლა კი მგონია არავის ეგონოს, რომ საქმე ასე ჩქარა და ადვილად გათავდებოდეს. ეს მოძრაობა დაიწყო სრულებით მოულოდნელად ისე, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ამაზედ არაფერი იცოდნენ, მანამდისინ მღელვარება არ აღიძრა საბერძნეთში. დიდი უსინიდისობა იქნება, რომ ეს მოძრაობა მივაწეროთ სხვა რაიმე გარეგანს შეგულიანებას და ხალხის აღელვებას.

ბერძნები სხვის შეგულიანებაში და გულისხმიერებაში ჩახდომას არა საჭიროებენ, რადგანაც ისინი კარგათა სცნობენ თავის თავს. იმათ ბევრჯელ გამოსთქვეს გაზეთებში ის აზრი, რომ ევროპა იმათ შინაურს საქმეში არ გაერიოს ამასვე ამტკიცებს ანგლიის გაზეთი Times-ი. ეს გაზეთი სწერს: „ერთი შესანიშნავი ბროშურა, სახელად „დასავლეთი და აღმოსავლეთი“ ძალიან მკაფიოდ აცხადებს იმ აზრს, რომ ევროპა არ გაერიოს ბერძნების საქმეში. ანგლიაც სწორეთ ამ აზრისაა. მაგრამ ამას ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა დაუმატოთ: თუმცა ევროპა არ არის დავალებული, რომ მხნე მონაწილეობა მიიღოს ბერძნების საქმეში, მაგრამ იმან თავისი თანაგრძნობა მაინც არ უნდა მოაკლოს ბერძნებს და დაეხმაროს იმ საწყლებს განდევნილებს, რომლებიც კანდიიდამ სხვა და სხვა ადგილებში მიისწრაფიან.

—გამოვკრებთ ლონდონის გაზეთის Times'ის სტატიიდამ კანდიის საქმის შესახებ რამოდენსამე ალაგს:

„მამულის მოყვარეობა იგივე სარწმუნოებაა. „ვინც იტანჯება, ის დასძლევს.“ ჩვენ როგორც უწინ, ისე ახლა იმ აზრისანი ვართ, რომ კანდიას უნდა მიენიჭოს დამოუკიდებლობა. ჩვენ დიდათა ვართ მოწადინებულნი, რომ კანდია საბერძნეთს შეუერთდეს. ვერავინ იტყვის, რომ ამ შეერთებით ჩვენ რაიმე სარგებლობა გვქონდეს; მაგრამ ჩვენ დიდი ხნის გამოცდილებით ვიცით, რომ ეს ბრძოლა და სისხლის ღვრა ჩქარა არ შესწყდება. ამისთვის ჩვენ წრფელის გულით გვწადს, რომ ამგვარი გულის-გამგმირი საქმეები კანდიის კუნძულზედ ამიერიდგან მოისპოს. ამისთვის დიდათ საჭიროა, რომ სხვა სახელმწიფოებიც მხნედ დაეხმარნენ კანდიელებს. ადრე თუ გვიან კანდიის საქმე უნდა გადასწყვიტონ ევროპის სახელმწიფოებმა. იმათი შუამავლობა მიუცილებელია. უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ამ სახელმწიფოებმა ახლავე მიიღონ შუამავლობა და არ მოიცადონ საქმის დაბოლოვებამდის. ბევრი ამტკიცებს, რომ ახლანდელს ბერძნებს თვით-მართვა არ შეუძლიანთ, მაგრამ ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თვითოეული კანდიის მცხოვრები ბუნებით ბერძენია, და არა ოსმალო, და ამისთვის ის ვერ შეიწყნარებს ოსმალეთის ბატონობას. ანგლიამ ხელი აიღო იონიის კუნძულებზედ და ამითი დაგვიმტკიცა, რომ ის მზათ არის დააკმაყოფილოს ბერძნების სანაციონალო მოთხოვნილება. კანდიის კუნძული ისეთს სარგებლობას არ მოუტანს ოსმალეთს, როგორათაც ანგლიისთვის სასარგებლონი იყვნენ კორფუ და სხვა იონიის კუნძულები. ვენეციის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ თავის დროზედ დათმობა მიუცილებლად საჭიროა. უიმისოთ მთელი ტერრიტორია სახელმწიფოს ძალით ხელიდამ გამოეცლება როდისმე.

**საბერძნეთი.** გაზეთში Levent Herald'ში ათინიდამ სწერენ, 22 (10) ნოემბერს, რომ საბერძნეთში მღელვარება თანდათან ძლიერდება. საბერძნეთის მმართებლობა კანდიელებს ცხადათ ეხმარება. შესდგა საუნივერსიტეტო ლეგიონი; ამ ლეგიონში შევიდა 9 ასი სტუდენტი. მმართებლობას სთხოვენ, რომ ეს ლეგიონი საომრათ კარგა გაამზადოს. ამ გაზეთის კორრესპონდენტი ამტკიცებს, რომ ყველა დიდი და პატარა აღტაცებულია და ყოველ დღე ვარჯიშობენ თოფიარაღის ხმარებაში. ათინაში ყველანი ამბობენ, რომ გაზაფხულს დიდი საქმეები მოხდება. 21 ნოემბერს ქალაქში აღარ იპოვებოდა არც ერთი ურემი; ყველაში ვოლონტერები ისხდნენ და მიეშურებოდნენ გემებში ჩასასხდომათ, რომლებიც კანდიას მიდიოდნენ; სულ გამგზავრდა ათასი ვოლონტერი და იმათ რიცხვში გარიბალდიელების ერთი რაზმი. კორრესპონდენტი ამბობს, რომ დღეს კანდიას წავლენ 150 ჩერნოგორელები.

**ამერიკა.** ნიუ—იორკის კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთასა Times სწერს რამდენსამე ცნობას ბილლზე, რომელელიც შეეხება კოლუმბიის შტატის ნეგრებს და იმათ აღმორჩევითს უფლებას. ამ ბილლით ყველა ნეგრებს უნდა ჰქონდესთ აღმორჩევითი უფლება და თეთრებს რომლებიც ერივნენ წარსულს ომიანობაში და განდგომილების მხარე ეჭირათ, ეს უფლება არ მიეცემათ. სენატორს შილლეის სურდა და ცდილობდა ეს ერთი ბილლის მუხლი არ გაეყვანა, მაგრამ იმისმა ცდამ ფუჭათ ჩაიარა და ბილლი მთლათ გაიყვანეს იმისმა მომხრეებმა.

თუმცა გენერალი სენჯვიკი, რომელიც მეხიკის საქმეებში ერივა, დასაჯა ვაშინგტონის მთავრობამ, მაგრამ იგივე მთავრობა ნებას აძლევს ამერიკის მოქალაქეებს, რომ იმათ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ მეხიკის მცხოვრებლებს, რომლებსაც სურთ, რომ იქ რესპუბლიკა არსებობდეს. სან-ფრანცისკოში (უმთავრესი ქალაქია კალიფორნიის შტატში) ცხადათ აგროვებენ რაზმს, რომელსაც ეძახიან „მეხიკის მფარველებს. ეს რაზმი დეკემბრის ნახევარს უნდა წავიდეს მეხიკაში და ხუარესს მისცეს შემწეობა. ნიუ-იორკიდამ და ნიუ-ორლეანიდამ სუყოველთვის მიდის მეხიკაში გემები და მიაქვთ სხვა და სხვა სამხედრო იარაღი და საჭმელ-სასმელი მეხიკაში გვერილიასებისთვის (მეომრებისთვის.)

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ტრიესტი**, 12 (24) დეკემბერს. ფრანციის ჯარმა, რომელიც იყო გაგზავნილი კორეის წინააღმდეგ, დაიპყრა და გადაწვა ქალაქი კანშოუ. კორეის კაროლმა მიიწვია ფრანციის ადმირალი თავის სატახტო ქალაქში მოსალაპარაკებლად; მაგრამ ადმირალმა ამაზედ უარი შეუთვალა და მოითხოვა, რომ დასაჯონ სამი კორეის მინისტრი. კორეის დედა-ქალაქს ფრანციის ჯარი გარეშემო არტყია.

როგორც ახლა აღმოჩნდა, ერთი პატარა ამერიკის გემი, სახელად „გენერალი შერმანი“ კაროლის ბძანებით დაწვეს კორეელებმა.

**ათინა**, 12 (24) დეკემბერს. მუსტაფა-კირიტლი-ფაშას უნდოდა იერიშით აეღო ერთი ბერძნების ბანაკი კარესის მახლობლად. ბრძოლა ექვსი საათი განიგრძო, მუსტაფა—ფაშა დიდათ დაზარალდა და უკუ—მიიქცა ლაკუსში. ის ახლა სელინოსის მაზრაში შესვლას ველარ შეიძლებს.

**კონსტანტინოპოლი**, 13 (25) დეკემბერს. მუსტაფა-კირიტლი-ფაშამ შეაგროვა თავისი ჯარი კანდიაში და სელინოსისკენ წავიდა 20 ათასი ჯარით. ოსმალებს და განდგომილებს შორის მოხდა ომი სამს ალაგას. განდგომილების რიცხვი იყო 7 ათასი. ამ საქმეზე დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ მოსულა.

რადგანაც ოსმალებმა არ აასრულეს თავიანთი პირობა, რომელსაც ჩერნოგორიას დაჰპირდნენ, ამისთვისაც ჩერნოგორელებმა თითონვე დაიწყეს დანგრევა სიმაგრეებისა ნოვოსელიისა და ვისოჩიცისა.

14 (26) დეკემბერს. ოსმალეთის მთავრობამ მისწერა საბერძნეთის მთავრობას, რომ, რადგანაც საბერძნეთის ვოლონტერების გარდა კანდიაში მოვიდნენო ის პირნი, რომელნიც საბერძნეთის არმიაში იმყოფებიან, და რადგანაც საბერძნეთის ჯარებიც ხმელეთზედ გროვდება ოსმალეთის საზღვარზედ, ამისთვისაც რაც კი ამ შემთხვევაში მოხდებაო ყოველი ფერი საბერძნეთის მთავრობას დაბრალდებაო და ის მიეცემაო პასუხის გებაში.

10 (22) დეკემბერს. დიდმა ვეზირმა ალი-ფაშამ წინააღმდეგობა გამოუცხადა ანგლიის დესპანს კონსტანტინოპოლში იმაზედ, რომ ანგლიის ხომალდებს გადაჰყავთ კანდიის მცხოვრებლები.

ჩრდილოეთ-ამერიკის ადმირალმა სთხოვა თავის მართებლობას ერთი ხომალდი, რომლითაც კანდიის მცხოვრებლები უნდა გადაიყვანოს სხვაგან.

16 (28) დეკემბერს. რადგანაც იტალიის ხომალდი, „პრინცი თომასი“ ზარბაზნების სროლით ოსმალებმა დააზიანეს, ამისთვის იტალიის მმართებლობამ მოსთხოვა პორტას, რომ იმან 50 ათასი ფრანკი გადაიხადოს, დაითხოვოს სამსახურიდამ ოსმალეთის გემის წანამძღვარი და პატივის-ცემით თავი დაუკრას იტალიის ფლოტს.

## ს ა ხ ა ზ ი ნ ო   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

(Закавказскій Вѣстникъ за 1867 г. № 1).

1) 16 იანვარს 1867 წლისა კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში მოხდება ტორგი და 3 დღის შემდეგ პერეტორკა გასაცემათ შემდგომის სამუშავოსი: ტფილისის პროვიანტის მაგაზინის ხის დერეფანი რკინით უნდა გადიჭედოს და ამასთანავე უნდა შეკეთდეს და გადაკეთდეს ორი ალაყაფის—კარები იმავე მაგაზინის გალავანში. გამოანგარიშებულია, რომ ეს სამუშავო დაჯდება 1312 მან. და 68 კაპ.

2) ზაკავკასიის პრიკაზში 24 თებერვალს 1867წ. მოხდება ტორგი გასასყიდათ ერთეტაჟიანის სახლისა ფლიგელით, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს სტეფანე ბალუსტას ძეს ბარხუდაროვს და იმყოფება ტფილისში მეორე ნაწილის მეორე კვარტალში. ეს სახლი იმისთვის ისყიდება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა სარგებელი პრიკაზიდამ გამოტანილის 2500 მანეთისა.

3) თელავის უეზდის სამჯავრომ დანიშნა იმავე სასამართლოში ტორგი 19 იანვარს 1867წ. გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც შედგება მიწის სახლისაგან, ვენახისა და სახნავ-სათეს მიწისაგან. ეს მამული ეკუთვნის სიღნაღის მცხოვრებლებს, სახელმწიფო გლეხებს გიორგი და ივანე ბექანიშვილებს და იმყოფება ქალაქს სიღნაღს. მამული 400 მანეთათ არის დაფასებული და ისყიდება ვალში.

ამ ნუმერთან იგზავნება: 1) სარჩევი სტატიებისა, რომელნიც „დროებაში“ იყვნენ დაბეჭდილნი 1866 წელს; 2) განცხადება რუსულის გაზეთის „Гласный судъ“-ის გამოცემაზედ.

---

(¹) დეპუტატების ამორჩევის დროს ფრანციის სჯულის დამდებს კორპუსში ნაპოლეონის მმართებლობა წარუდგენს ხოლმე ხალხს თავის კანდიდატს და ყოველს საშვალებას ხმარობს, რომ ხალხმა ეს კანდიდათი ამოირჩიოს. ამ კა[illegible]დიდატს მმართებლობის კანდიდატი ჰქვიან. მე[illegible] ნაპოლეონის მმართებლობის წინააღმდე[illegible] იმპერიალები, წარმოადგენენ თავის პარტიის კაცს კანდ[illegible]ათ დეპუტატობის თანამდებობაზედ. ამ კანდიდატს [illegible]ოზიციის კანდიდატი ჰქვიან.

(²) თესალია—მაზრაა ევროპის ოსმალეთში ადრე საბერძნეთს ეკუთვნოდა და დასახლებულია ბერძნებით.

(³) როდოსი—კუნძულია კანდიას და კიპრს შუა, და ოსმალეთს ეკუთვნის. ამ კუნძულზედ იმყოფება ფაშა და ბერძნების ეპისკოპოსი, რადგანაც 15 ათასი მცხოვრებლები სული ქრისტიანები არიან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го января 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.